



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080154111701218

№ 3041

19 / დეკემბერი / 2018
წ.

ი.მ. ზურაბ ქამადაძის გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“;

ტენდერის ნომერი: SPA170007001;

შესყიდვის ობიექტი: 45300000 – სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები;

მიმწოდებელი: ი.მ. ზურაბ ქამადაძე (პირადი №61009004026);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2018 წლის 22 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნა სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ 2018 წლის 19 ოქტომბრის №MES11801350950 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 8719), რომლითაც სააგენტოს ეცნობა ი.მ. ზურაბ ქამადაძის (პირადი № 61009004026) მიერ SPA170007001 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2017 წლის 4 ივლისის № 32070202/03/74 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. ი.მ. ზურაბ ქამადაძეს სააგენტომ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე zurabqamadadze@gmail.com, 2018 წლის 29 ოქტომბრის №3750 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად, კერძოდ, არასრულად და ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული 2017 წლის 4 ივლისის № 32070202/03/74 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, გასულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2017 წლის 17 მაისს სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“ გამოაცხადა SPA170007001 ელექტრონული ტენდერი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების (CPV45300000) შესყიდვის მიზნით.

4.2. სატენდერო კომისიის 2017 წლის 20 ივნისის № 3 სხდომის ოქმით, ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა ი.მ. ზურაბ ქაშადაძე (პირადი №61009004026), ხოლო 2017 წლის 28 ივნისის №4 სხდომის ოქმით, იგი მიწვეულ იქნა ხელშეკრულების გასაფორმებლად.

4.3. მხარეთა შორის 2017 წლის 4 ივლისს გაფორმდა № 32070202/03/74 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მიმწოდებელს შემსყიდველი ორგანიზაციისთვის უნდა შეესრულებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხელშეკრულების გაფორმებიდან 55 კალენდარული დღის ვადაში, 2017 წლის 28 აგვისტოს ჩათვლით. ხელშეკრულების ღირებულად განისაზღვრა 58 888 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2017 წლის 28 სექტემბერი.

4.4. მხარეთა შორის გაფორმებული 2017 წლის 1 აგვისტოს № 32070202/03/74-1 და 21 სექტემბრის № 32070202/03/74-2 შეთანხმებების შესაბამისად, ხელშეკრულების შესრულების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 1 ოქტომბერი, ხოლო მოქმედების ვადად – 2017 წლის 31 ოქტომბერი.

4.5. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2017 წლის 4 ოქტომბრის № MES11701204836 წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელს შესრულებული ჰქონდა ამნე პლატფორმის მონტაჟის სამუშაოები, თუმცა შეწყვეტილი იყო უნარშემზღვეულთა ამნის მოწყობის სამუშაოები.

4.6. საქმეში არსებული სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფროსის 2017 წლის 9 ოქტომბრის № MES21701228886 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ მიმწოდებელმა დაასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ლიფტის დამონტაჟებისას გამოვლინდა ძრავის შიდა მექანიზმის გაუმართაობა. შესაბამისად, დეფექტური დეტალის შეცვლაზე განმეორებით განხორციელდა შეკვეთა ძრავის მწარმოებელ ქარხანაში და მიმწოდებელს განესაზღვრა ოცი დღე ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

4.7. მიმწოდებელმა 2017 წლის 19 ოქტომბრის წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ უგზავნიდა შუალედური სამუშაოების შესრულების ამსახველ ფარული სამუშაოების №2 და №3 აქტებს.

4.8. საქმეში არსებული სამშენებლო-საპროექტო სამსახურის უფროსის 2017 წლის 19 ოქტომბრის № MES11701286214 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 54 594,8 ლარის ღირებულების სამუშაო.

4.9. მიმწოდებელმა 2017 წლის 20 ოქტომბრის წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულებული იყო.

4.10. საქმეში არსებული შპს „ზაისი და კომპანიის“ 2017 წლის 31 ოქტომბრის №152 ინსპექტირების დასკვნით დგინდება, რომ მიმწოდებელმა შეასრულა შუალედური სამუშაოების შესრულების ფორმა № 2-ით გათვალისწინებული 1 147,26 ლარის ღირებულების სამუშაოები. ამასთან, შესრულებული სამუშაოები შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

4.11. მიმწოდებელმა 2017 წლის 2 ნოემბრის წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობა, რომ ეგზავნებოდა შუალედური სამუშაოების შესრულების ფორმა № 2-ით გათვალისწინებული ფარული სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი ექსპერტიზის დასკვნა.

4.12. საქმეში არსებული შემსყიდველი ორგანიზაციის 2017 წლის 3 ნოემბრის № MES71701356294 წერილით დგინდება, რომ უნარშემზღვეულთა ამნის მოწყობის სამუშაოები არ იყო დასრულებული, რამდენადაც სამუშაოების ვიზუალური დათვალიერებით იგი სრულყოფილად არ იყო შესრულებული. ამასთან, არ იყო აღდგენილი მიმწოდებლის მიერ დაზიანებული კანალიზაციისა და წყალგაყვანილობის მილები.

4.13. შემსყიდველი ორგანიზაციის 2017 წლის 21 ნოემბრის № MES61701426835 წერილით დგინდება, რომ უნარშემზღვეულთა ამნის მოწყობის სამუშაოების ძირითადი ნაწილი დასრულებული იყო, მაგრამ ვიზუალური დათვალიერებისას კვლავ იკვეთებოდა ხარვეზები, კერძოდ, მეორე სართულზე შეკეთებას საჭიროებდა სამუშაოების მიმდინარეობისას წვიმის გამო დაზიანებული ჭერი. ამასთან, კოსმეტიკური (შეღებვითი) სამუშაოები სამივე სართულზე არასრულყოფილად იყო შესრულებული, ხოლო კოლეჯის ტერიტორიიდან არ იყო გატანილი სამშენებლო ნაგავი და შენობის გარე ფასადის სამუშაოები არ იყო დასრულებული. ამავე წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელმა ვერ აღადგინა სამუშაოების მიმდინარეობისას დაზიანებული კანალიზაციისა და წყალმომარაგების მილები.

4.14. საქმეში არსებული 2017 წლის 24 ნოემბრის № MES31701438541 სამსახურებრივი ბარათის თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, რამდენადაც მან შეწყვიტა სამუშაოების შესრულება და შემსყიდველი ორგანიზაცია ველარ ახერხებდა მასთან დაკავშირებას.

4.15. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2017 წლის 18 დეკემბრის № MES61701549172 წერილით მიმწოდებელს აცნობა, რომ მას დაეკირა პირგასამტეხლო 3 180,1 ლარის ოდენობით.

4.16. საქმეში არსებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა 54 594,8 ლარის ღირებულების სამუშაო, რაც ხელშეკრულების საერთო მოცულობის 93%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ ი.მ. ზურაბ ქამადაძეს უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო აღგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად, კერძოდ, არასრულად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ამასთან, გასულია ხელშეკრულების მოქმედების ვადა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ არსებობს მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების თუ შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს, მისი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის აქტივობას.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.


7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. განსახილველ შემთხვევაში, მართალია, მიმწოდებელმა არაჯეროვნად, კერძოდ, არასრულად და ხელშეკრულების პირობებთან შეუსაბამოდ შეასრულა მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მაგრამ მან, შეასრულა 54 594,8 ლარის ვალდებულებები, რაც ხელშეკრულების საერთო მოცულობის 93%-ს შეადგენს. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, ი.მ. ზურაბ ქამადაძის შავ სიაში დარეგისტრირებით დადგება არათანაზომიერი შედეგი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. ი.მ. ზურაბ ქამადაძეს (პირადი №61009004026) 2018 წლის 19 დეკემბერს მიეცეს გაფრთხილება.
2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელემენტრონულად 

ლევან რაზმაძე